„დედამიწის აქვს გარსი და ეს გარსი დაავადებულია. ერთ-ერთ მის დაავადებას ადამიანი ჰქვია“- ფრიდრიხ ნიცშე. სწორედაც, რომ ასეა. ადამიანები ყველაზე მეტად ვაზიანებთ იმ ადგილს, სადაც ვცხოვრობთ. მაგალითად, ვაბინძურებთ ჰაერს, ვჭრით ხეებს, ვაშრობთ მდინარეებს და შემდეგ გვიჩნდება კითხვა: „რას ვაკეთებთ არასწორად, რომ დედამიწა ნადგურდება?“ დედამიწა, ჩვენი საერთო სახლია, სადაც ყოველი სუნთქვა ერთმანეთთან გვაკავშირებს. მე მჯერა, რომ ყველას შეუძლია თავისი წილი სუფთა ჰაერი დაიცვას. სულ მცირე ერთ ხის დარგვით, ნარჩენების შემცირებით ან უბრალოდ პასუხისმგებლური დამოკიდებულებით. სუფთა ჰაერი არა მხოლოდ ჩემი, არამედ მთელი კაცობრიობის საერთო ძალებით უნდა დავიცვათ, უკეთესი იქნება თუ დღესვე დავიწყებთ ბუნებაზე ზრუნვას. XX-XXI საუკუნეში ძალიან დაბინძურდა ჰაერი, რაც მთელ კაცობრიობას საფრთხეში აგდებს, ეს ყველაფერი კი ადამიანის ჩადენილია.

არის შემთხვევები, როდესაც ჰაერის დაბინძურება არა ადამიანის ჩარევით, არამედ ბუნებრივადაც ხდება. „ბუნება მბრძანებელია, იგივ მონაა თავისა, ზოგჯერ სიკეთეს იხვეჭავს, ზოგჯერ მქნელია ავისა; ერთფერად მტვირთველი არის საქმის თეთრის და შავისა; საცა პირიმზეს ახარებს, იქვე მთხრელია ზვავისა... მაინც-კი ლამაზი არის, მაინც სიტურფით ჰყვავისა!“ მაგალითად, 1883 წელს ინდონეზიაში მოხდა ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი ვულკანური ამოფრქვევა. მას კრაკატაუს ამოფრქვევასაც უწოდებენ. კრაკატაუს ამოფრქვევამ ატმოსფეროში უზარმაზარი რაოდენობის ფერფლი, აირები და მტვერი გაფანტა ჰაერში, რამაც დედამიწის სითბურ ბალანსში ცვლილებები გამოიწვია. ჩვენს პლანეტაზე მზის სხივები ბოლომდე ვერ აღწევდა, ამან კი ტემპერატურა დასცა. ეს შემთხვევა ადასტურებს, რომ შესაძლოა ბუნებამაც დედამიწა საფრთხეში ჩააგდოს, მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს ადამიანის მიერ ჩადენილი დანაშაულებიც. „ ნუ ვიქნებით მეტისმეტად მოხიბლულნი ბუნებაზე გამარჯვებით, რადგან ის შურს იძიებს ჩვენზე“. ბევრად უფრო საშიშია ხელოვნური დაბინძურებები. მაგალითად, ავტომობილები, ისინი დიდი რაოდენობის გამონაბოლქვს უშვებენ, რაც დიდ ზიანს აყენებს ატმოსფეროს. ქარხნები კი, მართალია, ბევრ რამეში გვეხმარება ეკონომიკურად,(ამცირებს ჩვენს, ფიზიკურ დატვირთვას) მაგრამ ჩვენი ცხოვრებისთვის ყველაზე მნიშვნელოვან ერთეულს- ჰაერს, აბინძურებენ.

ომი, ადამიანისთვის ყველაზე საშინელი რამაა, ომს არამარტო ადამიანი ეწირება, არამედ ბუნებაც. ომზე საუბრისას კიდევ შეგვიძლია გავიხსენოთ II მსოფლიო ომი, დიახ, ომი რომელმაც მილიონობით ადამიანის სიცოცხლე შეიწირა. ამასთან ერთად მან გაანადგურა ბუნების დიდი ნაწილი. II მსოფლიო ომის დროს გამოიგონეს ტანკები, მომწამლავი გაზი და ყველაზე საშიში რამ, რასაც კაცობრიობის მიწასთან გასწორება შეუძლია- ატომური ბომბი. პირველი ატომური ბომბი შეიქმნა მანჰეტენის პროექტის ფარგლებში, ამერიკაში. მეორე მსოფლიო ომის დროს იგი პირველად გამოსცადეს 1945 წლის 6 აგვისტოს იაპონიის ერთ-ერთ ქალაქ ჰიროსიმაში, ატომური ბომბის სახელი იყო “Little Boy”. ამავე წლის 9 აგვისტოს შემდეგი ატომური ბომბი “Fat Man” ჩამოაგდეს ისევ იაპონიაში, კონკრეტულად კი ქალაქ ნაგასაკში. ამერიკის მიერ ატომური ბომბების გამოყენებამ იაპონია დათმობამდე მიიყვანა. ამ ყველაფერს ძალიან ბევრი ადამიანი შეეწირა. აფეთქების შემდეგ მილიონობით ტონა ფერფლი, მტვერი და რადიაციული ნაწილაკები ჰაერში გაიბნა. ატმოსფეროში დიდი ცვლილებები გამოიწვია. რადიაციით დაბინძურდა ჰაერი, გაჩნდა დაავადებები და გლობალურად გავრცელდა. დღეს ეს პრობლემა ძალიან აქტუალურია.

მაგალითად, უკრაინასა და რუსეთის ომი ჰაერს განსაკუთრებული ზიანს გვაყენებს. ბომბებისა და რაკეტების აფეთქებისას ატმოსფეროში გამოიყოფა ტოქსიკური აირები, მტვერი და მძიმე მეტალის ნაწილაკები, რომლებიც ადამიანისა და ცხოველის ჯანმრთელობას საფრთხეს უქმნის. დამწვარი ნავთობი, საწვავი და ქიმიკატები ჰაერს აჭუჭყიანებს და სუნთქვას ართულებს. ზოგიერთ ქალაქში დაბინძურება უფრო მეტად მაღალია, ვიდრე დასაშვები ნორმა. ასეთი დაბინძურება არა მხოლოდ ადამიანს აზიანებს, არამედ ამცირებს მცენარეთა ჟანგბადის გამოყოფის უნარს და აჩენს მჟავე წვიმებსაც.

ჩემი აზრით, საშიში ატომური სადგურები უნდა დაიხუროს, რადგან საფრთხე გვემუქრება, შესაძლოა ისინი ნებისმიერ დროს აფეთქდნენ და რადიაციამ გაჟონოს, როგორც ჩერნობილში.

მე მსურს ჩვენი პლანეტის დასაცავად ჩემი წვლილი შევიტანო. მომავალში ვაპირებ ხილის პლანტაციების გაშენებას. ეს არამხოლოდ სოფლის მეურნეობას წინ წამოსწევს, არამედ ჩვენ ირგვლივ გარემოში იქნება სუფთა ჰაერი. ადამიანებს ექნებათ შესაძლებლობა შეიგრძნონ სუფთა გარემოში ყოფნის სიამოვნება, რაც მათ მოტივაციას მისცემს ჩვენი პლანეტის დაცვაში. დიდი იმედი მაქვს, რომ ჩემი მიზანი ახდება, რადგან ხილის ბაღების გაშენება მე მხოლოდ ბიზნესისთვის არ მინდა. სანამ მაგხელა მიზანს მივაღწევ, მანამდე მსურს პატარ-პატარა ნაბიჯების გადადგმა. ვაპირებ ჩემი სკოლის ეზოს გალამაზებას ნარგავებით ჩემს მეგობრებთან ერთად. მინდა ეზოში გავაშენოთ ბუჩქნარები და სხვადასხვა ჯიშის ყვავილები. ეს იქნება პირველი ნაბიჯი და ჩემი ოცნების ასახდენად. ჩემი სკოლა იქნება ადგილი, სადაც მოსწავლეებსა და მასწავლებლებს შეეძლება იყვნენ უსაფრთხოდ, შეეძლებათ ისუნთქონ სუფთა ჰაერი. დიდი იმედი მაქვს ჩემი პროექტი სხვებშიც აღძრავს მოტივაციას იზრუნონ ჰაერის სისუფთავეზე, ისინიც მიიღებენ მონაწილეობას ჩვენი პლანეტის დაცვაში. ძალიან კარგი იქნება, თუ გამოვყოფთ ერთ დღეს, როდესაც ჩვენს ოჯახთან ან მეგობრებთან ერთად გავალთ ბუნებაში, სადაც დავრგავთ ხეებს, ყვავილებს და ა.შ. ვისწავლით ბუნებასთან კავშირს და დავფიქრდებით თუ როგორ ვანადგურეთ ჩვენს პლანეტას, ჩვენს ფილტვებს. აბსოლუტურად ყველამ უნდა დაიცვას ჩვენი სახლი- დედამიწა, პლანეტა, სადაც სიცოცხლეა. ჩვენ თუ არ მოვუფრთხილდებით მას, იგი განადგურდება. ყველამ ერთად, ერთიანი ძალებით უნდა დავიცვათ, დროა გავერთიანდეთ ჩვენი სახლის გადასარჩენად. მე მჯერა, რომ ამ ყველაფერს ერთად, გუნდურობით მივაღწევთ!

ლიზი ლურსმანაშვილი 15 წლის.

X კლასი, სსიპ ქარელის მუნიციპალიტეტის სოფელ აბისის საჯარო სკოლა

ტელ ნომერი: 574027051

ელ.ფოსტა: lursmanashvili.lizi5@gmail.com